



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №10

2017 წელი 28 თებერვალი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ მახოში, კულტურული ცენტრის (კლუბი) აშენების შესახებ პეტიციის მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის მე-15 ნაწილისა და „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №07 დადგენილების 55-ე მუხლის მე-16 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ მახოში, კულტურული ცენტრის (კლუბი) აშენების შესახებ პეტიციის მოთხოვნა მიჩნეულ იქნას მიზანშეწონილად.
2. საკითხის შესწავლის შემდეგ ეთხოვოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2018 წლის ბიუჯეტში ასახოს პეტიციის შესაბამისი მოთხოვნა.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხრის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ჯუმბერ ვარდმანიძე